Frontausgabe – Informationsmaterial
Georgische Zeitung „SAKARTHWELO“

# საქართველო

№ 10 (138) გამოც. მე-4 წელი. ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი ბერლინი, 12 მარტი, 1945 წ.

## გენერალ-პოლკოვნიკი გუდერიანი და დოქტორი დიტრიხი ბოლშევიკების მხეცობის შესახებ

...ს, რასაც სჩადიან ბოლშევიკების ჯარისკაცები თავიანთი მეთაურების ბრძანებით აღმოსავლეთ პრუსიაში, სცილდება ადამიანის ყოველგვარ წარმოდგენას და მოითხოვს შურისძიებას. უდანაშაულოდ დაღვრილთა სისხლი, ჩვენი ქალებისა და ქალიშვილების გაუპატიურება, გაპარტახება ყოველივე იმისა, რაც საუკუნეთა განმავლობაში შექმნილია გერმანული კულტურის მიერ — ყველაფერი ეს წარმოადგენს უსაშინელეს ბრალდებას და მოუწოდებს მთელ გერმანელ ხალხს შეჰკრიბოს ყველა თავისი ძალები, რათა გაათავისუფლოს განაწამები სამშობლო და დამსახურების შესაბამისად დასაჯოს ქვეყნის დამმონებელნი“.

გენერალ-პოლკოვნიკმა გუდერიანმა, როგორც ერთერთმა გერმანელმა რაინდმა-ჯარისკაცმა, გერმანული და უცხოეთის პრესის წარმომადგენელთა წინაშე განაცხადა გერმანელი ხალხის ამ მტკიცე გადაწყვეტილებაზე იბრძოლოს საბოლოო გამარჯვებამდე და გაათავისუფლოს სამშობლო. გერმანული პრესის უფროსმა დოქტორმა დიტრიხმა მოუწოდა მთელ მსოფლიოს იყოს მოწმე ბოლშევიკების მიერ ომის ასეთი მხეცური წარმოებისა. „მშვიდობიანობის ამ „გარანტებს“ ხელს უწყობენ თავისი ტერორისტული თავდასხმებით დასავლეთის სახელმწიფოები. ჩვენი ჯარისკაცები ფრონტზე მოწმენი არიან ენითგამოუთქმელ საშინელებათა, რომელსაც ბოლშევიკი ბარბაროსები სჩადიან“, — განაცხადა დოქტორმა დიტრიხმა.

## საბჭოების მზადება შურისძიებისათვის

ამერიკის დეპეშათა სააგენტოს „იუნაიტედ პრესის“ მოსკოველი კორესპონდენტი იუწყება: სამთა კონფერენციაზე იალტაში აღძრულ იქნა საკითხი საბჭოთა კავშირის მუშებისა და სამხედრო ტყვეების შესახებ, რომლებიც დღეს დასავლეთ ევროპაში ცხოვრობენ.

ბრიტანეთის მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კადოგენმა საკითხი დაუსვა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაისკის იმის შესახებ, თუ რა აქვს განზრახული საბჭოთა კავშირს იმ მუშებისა და სამხედრო ტყვეების მიმართ, რომლებიც გერმანიაში იმყოფებიან.

მაისკიმ უპასუხა, რომ ეს საკითხი წარმოადგენს სსრ კავშირის შინაურ საქმეს და რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერკიდევ გასულ წელს ოფიციალურად განუცხადა წითელი ჯვრის ჟენევის კომიტეტს, რომ იგი გერმანიაში მყოფ მუშებს და სამხედრო ტყვეებს იხილავს, როგორც სამშობლოს მოღალატეებს.

„იუნაიტედ პრესის“ კორესპონდენტი აღნიშნულ განცხადებას დასძენს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერკიდევ შარშან მიიღო თანხმობა ბრიტანეთისა და ამერიკის მთავრობებისაგან საბჭოთა ხელისუფლებისადმი ყველა იმ პირის გადაცემის შესახებ, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხებს ეკუთვნოდნენ და დღეს დასავლეთ ევროპაში იმყოფებიან.

## თურქეთი — იალტის კონფერენციის მსხვერპლი

თურქეთმა, რომელმაც ჯერკიდევ გასულ წელს გასწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიასა და იაპონიასთან, ახლა, იალტის კონფერენციის დადგენილების საფუძველზე, ომი გამოუცხადა გერმანიასა და იაპონიას. ომის დაწყების თარიღად დანიშნული იყო 1 მარტი. ამით თურქეთი შეუერთდა სამხრეთი ამერიკის სახელმწიფოებს — ჩილის, ექვადორს, ვენეცუელას, პარაგვაისა და ურუგვაის, რომელთაც ჩრდილო ამერიკისა და მის მოკავშირეთა დაწოლის შედეგად აგრეთვე გადასდგეს ასეთივე სახიფათო ნაბიჯი.

სამხედრო თვალსაზრისით თურქეთის ეს გადაწყვეტილება სრულიად არ სცვლის მდგომარეობას. მაგრამ თურქეთის მიერ ომის გამოცხადება წარმოადგენს კიდევ ერთ დამამტკიცებელ საბუთს, თუ როგორ არღვევენ მოკავშირეები ატლანტიკის ქარტიის ყოველგვარ პრინციპებს „ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის“ შესახებ. მოკავშირეები თვითნებურად განაგებენ ცალკე ერების ბედს. ტყუილად [illegible] არ განაცხადა ამ რამოდენიმე ხნის წინათ ჩერჩილმა, რომ ატლანტიკის ქარტიის პრინციპები წარმოადგენენ „მხოლოდ სახელმძღვანელო დირექტივებს და არავითარ შემთხვევაში კანონებს“.

გასწყვიტა რა გასული წლის ზაფხულში დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიასა და იაპონიასთან, თურქეთს იმედი ჰქონდა, რომ ომს თავიდან აიცდენდა. მაგრამ [illegible] სწორედ პირიქით მოხდა. თურქეთი მოტყუვდა ანგარიშში. ეხლა მან უნდა გახსნას სრუტეები სამხედრო მიზნებისათვის და, რასაკვირველია, ვეღარ შესძლებს უარი სთქვას, როდესაც დარდანელის ინტერნაციონალიზაციის შემდეგ, მას მოსთხოვენ საერთაშორისო საკონტროლო კომისიის შექმნას. ამგვარად, თურქეთის მთავრობამ უარი უნდა განაცხადოს თავის სუვერენულ უფლებებზე.

ინგლისი დაინტერესებულია თურქეთის ომში ჩაბმით იმდენად, რამდენადაც თურქეთის დელეგაციის გამოჩენით, სან-ფრანცისკოს მომავალ კონფერენციაზე, იმედი აქვს მიიღოს თურქეთის ხმა. ამით ინგლისს სურს **ბოლშევიკების უმრავლესობის პარალიზება** კონფერენციაზე, რითაც **ნაწილობრივ მაინც მიაღწევს პოლიტიკურ წონასწორობას**. ახლო და შუა აღმოსავლეთის პოლიტიკურ საკითხებში თურქეთი, ეჭვგარეშეა, წარმოადგენს უფრო ინგლისის, ვიდრე საბჭოთა კავშირის მოკავშირეს. ამავე დროს ინგლისი აქარწყლებს თურქეთის გადაჭარბებულ იმედებს მისი მომავალი როლის შესახებ ომის დამთავრების შემდეგ. ინგლისი აკეთებს შენიშვნას, რომ თურქეთის მიერ ომის გამოცხადებას აქვს სრულიად სხვა პოლიტიკური წონა, ვიდრე ეს ექნებოდა, ვთქვათ, 1943 წელს. „მაშინ ასეთ დიპლომატიურ ნაბიჯს ექნებოდა გარკვეული სამხედრო ღირებულება, ეხლა კი მას მხოლოდ მორალური მნიშვნელობა აქვს“ — შენიშნავს „რეიტერის“ სააგენტო. ამით ზედმეტად ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ბრიტანეთის იმპერიისათვის თურქეთი წარმოადგენს ჰოდრაკის ისეთ ფიგურას, რომელსაც არავითარი გავლენა არა აქვს საერთო თამაშში. თურქეთმა, როგორც დამოუკიდებელმა დიდმა სახელმწიფომ, უკვე შესწყვიტა არსებობა, იგი გადაიქცა იალტის კონფერენციის მსხვერპლად.

## ჰაინრიჩის დაჯილდოება

ფიურერმა დააჯილდოვა გენერალ-პოლკოვნიკი ჰაინრიჩი, ერთერთი საარმიო ჯგუფის სარდალი, რაინდობის რკინისჯვრის [illegible]დენით მუხის ფოთლებითა და ხმლებით. გენერალ-პოლკოვნიკმა ჰაინრიჩმა განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა ოდერის შუა ფრონტზე, განამტკიცა რა ეს საბრძოლო უბანი და მტრის წინსვლას საზღვარი დაუდო.

გენერალ-პოლკოვნიკი ჰაინრიჩი გერმანული არმიის მე-136 ჯარისკაცია, რომელმაც უმაღლესი ჯილდო მიიღო.




ქართველი მებრძოლი აღმოსავლეთის ფრონტზე.
ნახ. მოხ. გ. ქუთათელისა.

## შემოღებულია ახალი საველე სასამართლოები

გერმანიის იუსტიციის სახელმწიფო მინისტრმა გამოსცა განკარგულება საველე სასამართლოების შექმნის შესახებ იმ ოლქებში, რომელთაც მტრის მხრიდან საფრთხე მოელით. განკარგულება გამოცემულ იქნა ადოლფ ჰიტლერის ბრძანების საფუძველზე და სახელმწიფო კანცელარიის უფროსის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და პარტიული კანცელარიის ხელმძღვანელის თანხმობით.

საველე სასამართლო ყალიბდება ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელის, არმიის ერთი ოფიცრის, სს-ისა და პოლიციის ოფიცრების შემადგენლობით. საველე სასამართლოს თავმჯდომარეობს მთავარი მსაჯული. სასამართლო გაარჩევს ყველა იმ დამნაშავის საქმეებს, რომელთა დანაშაულებრივი მოქმედებანი ძირს უთხრიან გერმანიის სახელმწიფოს ძლიერებას. ახალ საველე სასამართლოებს გამოაქვთ განაჩენი ბრალდებულთა სიკვდილით დასჯის, გამართლებისა ან მათი საქმეების ჩვეულებრივ სასამართლოებზე გადაცემის შესახებ.

განკარგულება საველე სასამართლოების შექმნის შესახებ შედის ძალაში მისი პრესაში და რადიოთი გამოქვეყნების მომენტიდან.

## იტალიელები ხოცავენ ინგლისელ ოფიცრებს

ჟენევიდან მიღებული ცნობების თანახმად, შიმშილობა იტალიაში ყოველდღიურად იზრდება. მოსახლეობა განიცდის საშინელ სიღატაკეს. ქალაქებში არ არის აირი და ელექტრონი. ამ ნიადაგზე მატულობს იტალიელი ხალხის უკმაყოფილება ინგლის-ამერიკელთა მიმართ. ამ რამოდენიმე დღის წინათ ფლორენციაში შეთქმულებმა შურისძიების სახით მოაწყეს თავდასხმა ინგლისელ ოფიცერთა ჯგუფზე. დინამიტით აფეთქებულ იქნა ფლორენციის ერთერთი ყველაზე დიდი სასტუმრო „ექსელსიორი“. აფეთქების დროს დაიღუპა 50-მდე ინგლისელი ოფიცერი, მათ შორის რამდენიმე გენერალი.

## შებილწეს ბლიუხერის საფლავი

გერმანელმა გრენადერებმა, რომელთაც ხელახლა დაიკავეს სოფელი ბლიუხერსრუ ქალ. კანტთან (სილეზია), აღმოაჩინეს, რომ ბოლშევიკებს გაენადგურებინათ ცნობილი გერმანელი მხედართმთავრის ბლიუხერის მავზოლეუმი. ლითონის კუბო გაეტეხათ და განსვენებულის მუნდირიდან მოეხსნათ ოქროს ნიშნები. განადგურებულია აგრეთვე მარშლის 5 ნათესავის საფლავებიც. მათი ნარჩენები ამოყრილ იქნა საფლავებიდან, ხოლო ძვირფასი ნივთები დატაცებული.

## დეზერტიროგა ამერიკულ არმიაში

ამერიკული პრესის ცნობებით, ამერიკის არმიაში გახშირდა დეზერტირობის შემთხვევები. ერთერთი გაზეთი სწერს, რომ არმიიდან „უნებართვოდ წასულთა“ რიცხვმა მიაღწია 18.000 კაცს.

ეს ციფრი ეხება მხოლოდ ევროპაში მყოფ ამერიკულ ჯარებს. დეზერტირების უმეტესობა მისდევს სპეკულაციას ამერიკელების მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში.

6-1279

# განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

## კვირეული მიმოხილვა

აღმოსავლეთის ფრონტზე ბოლშევიკებმა შესძლეს გერმანული ნაწილების შევიწროება შტარგარდ-შიველბეინის ხაზზე. კესლინის აღმოსავლეთით და შლავესთან საბჭოების შემოტევა შეჩერებულია. მდინარე ვისლის ქვედადინებაზე, გროსვოლენტალთან ბოლშევიკებმა მოიტანეს იერიშები, მაგრამ გერმანელთა მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდნენ და იძულებული გახდნენ უკანვე დაეხიათ. პოზენის გარნიზონი ჩაბარდა მას შემდეგ, რაც ტყვიაწამალი სრულიად გამოილია და ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა. აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანული ნაწილები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ მტრის ყველა შემოტევას. კურლანდიაში, საბჭოების ცდები, გაერღვიათ ფრონტი ლიბავასთან, უშედეგოდ დარჩა.

კუსტრინთან ბოლშევიკებმა დაიწყეს ახალი შემოტევა, რის შედეგად შესძლეს ქალაქში შემოჭრა. ქუჩებში მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლები. გერმანულმა ნაწილებმა ძლევამოსილი იერიში მიიტანეს ქალაქ ლაუბანზე და განდევნეს ბოლშევიკები. აღნიშნული ქალაქი, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ისევ გერმანელების ხელშია.

შუა სლოვაკიაში, შემნიცის სამხრეთით მტერმა მოახერხა უმნიშვნელო წინწამოწევა. შუა იტალიაში, პორეტას ჩრდილო-აღმოსავლეთით ინგლის-ამერიკელები კვლავ გადმოვიდნენ შეტევაზე, მაგრამ უშედეგოდ. ფაენცას ჩრდილოეთით ინგლისელთა იერიშები უკუგდებულია.

დასავლეთის ფრონტზე მტერმა დაიწყო ახალი შემოტევა. ბრძოლების ცენტრი აქ იმყოფება რეინის ქვედადინების რაიონში. ძლიერი მოსამზადებელი ცეცხლის შემდეგ ამერიკელებმა შესძლეს გერმანელთა თავდაცვითი ხაზის შევიწროება. ჩაბარებულია ქალაქები მიუნხენ-გლადბახი, ნეუსი და კელნი. ამერიკელების ტანკებმა მოაღწიეს კრეფელდ-ეუსკირხენამდე. პრიუმის აღმოსავლეთით მტერმა მოახერხა მცირედი წინწამოწევა. მდ. კილის ქვედადინებაზე უკუგდებულია მოწინააღმდეგის ყველა შემოტევა. ფორბახის რაიონში სასტიკი ბრძოლები გრძელდება.

## შურისძიების იარაღის მოქმედება

„სუისეს" ლონდონელი კორესპონდენტი ხელახლა სვამს გერმანული შურისძიების იარაღის მოქმედების საკითხს. იგი ამბობს: იქ, სადაც ეცემა „V-1" და „V-2" ყუმბარა, ირგვლივ 200 მეტრის მანძილზე მხოლოდ ნანგრევები რჩებაო. ამრიგად, ინგლისის დედაქალაქში ერთი ასეთი ყუმბარით მთელი ქუჩები ნადგურდება.

## უნდობლობა მოსკოვისადმი

ლონდონის ჟურნალმა „ობსერვერმა" მოათავსა წერილი სათაურით „საქმე, რომელიც სახიფათო ქვას წარმოადგენს". მასში განხილულია პოლონეთის საკითხი და გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება: „პოლონეთის პრობლემა კვლავ არსებობს. საბჭოები თვითონ არიან დამნაშავენი იმაში, რომ მათდამი უნდობლობას იჩენენ. კომპრომისი, რომელიც უკვე მიღწეულია, არ არის დამაკმაყოფილებელი. რუზველტმა განაცხადა, რომ მას არ მოსწონს არსებული მდგომარეობა, მაგრამ სტალინი არავითარ დათმობაზე არ მიდის. უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენ ეხლა ფრაზების საუკუნეში ვცხოვრობთ".

## ჟაკ დორიოს დაღუპვა

საფრანგეთის განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარე ჟაკ დორიო დაიღუპა მტრის ერთერთი საჰაერო ტერორისტული თავდასხმის დროს.

ჟაკ დორიო დაიბადა 1898 წლის 26 სექტემბერს ქალაქ ბრესლეში (ოაზის დეპარტამენტი). პროფესიით იგი იყო მუშა-მეტალურგი. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში და დაიმსახურა ფრანგული სამხედრო ჯვარი. გაუცრუვდა რა ის იმედები, რომელსაც ჟაკ დორიო ამყარებდა საფრანგეთის ომისშემდგომ პოლიტიკაზე, იგი 1920 წელს შედის კომუნისტურ პარტიაში. საბჭოთა კავშირში რამოდენიმე ხნით ცხოვრების შემდეგ ბრუნდება საფრანგეთში, სადაც ირჩევენ დეპუტატად კომუნისტური პარტიიდან. მალე იგი ხდება ქალაქ სენ დენის მერი.

როდესაც 1934-35 წლებში კომუნისტურმა პარტიამ და კომინტერნმა აშკარად დაიწყეს მოქმედება საფრანგეთის ომში ჩასათრევად, დორიომ დასტოვა პარტია. ორი წლის შემდეგ მან შექმნა თავისი საკუთარი პარტია — საფრანგეთის სახალხო პარტია, რომელსაც საფუძვლად სოციალისტური პრინციპი დაუდო. ამის შემდეგ იგი გადაიქცა ბოლშევიზმის შეურიგებელ მტრად საფრანგეთში და თავის მრავალრიცხოვან გამოსვლებში მოითხოვდა გერმანიასთან შეთანხმებას.

1939 წელს, ომის დაწყებისას, დორიო კვლავ ჯარისკაცი ხდება. 1941 წელს მეგობრებთან ერთად ბოლშევიზმთან საბრძოლველად იგი აყალიბებს ფრანგ მოხალისეთა ლეგიონს. აღმოსავლეთის ფრონტზე 18 თვის ბრძოლის შემდეგ, სადაც დაიმსახურა რკინის ჯვარი, იგი ბრუნდება პარიზში.

ინგლის-ამერიკელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ დორიო გადმოსახლდა გერმანიაში და დააარსა საფრანგეთის განმათავისუფლებელი კომიტეტი.

## კულტურის ძეგლების განადგურება დრეზდენში

დრეზდენზე უკანასკნელი საჰაერო-ტერორისტული თავდასხმების დროს, ინგლის-ამერიკელმა საჰაერო ყაჩაღებმა, კულტურისა და არქიტექტურის ძეგლებით განთქმული ქალაქი ნანგრევებად აქციეს. ტერორისტებმა ფუგასური და ცეცხლწამკიდი ბომბებით დაანგრიეს: ცნობილი ცვინგერი, რომელშიც მოთავსებული იყო რამდენიმე მდიდარი მუზეუმი. ამ სახლში საშუალო საუკუნეებში ეწყობოდა რაინდთა შეჯიბრებანი შემდეგ — მეფის სასახლე, რომლის აგებაც დაიწყო ჯერკიდევ მე-16 საუკუნეში და ცნობილი იყო ძვირფასი ნივთებით, სასახლის ტაძარი, იაპონური სასახლე, ლუთერანთა ცნობილი ეკლესია — ფრაუენკირხე, ქალაქის თვითმართველობის ახალი და ძველი შენობა, რამდენიმე მუზეუმი და სამხატვრო გალერია, სამხატვრო აკადემია, საოპერო თეატრი და სხვ. ამ მხეცური თავდასხმების შედეგად დაინგრა აგრეთვე მრავალი კლინიკა და საავადმყოფო.

## 10 კვირაში — 103 გემი

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ 1944 წლის დეკემბრიდან მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე ჩაძირულია მტრის 54 სავაჭრო და სატრანსპორტო გემი 322.900 ტონა წყალწყვით, 1 კრეისერი და 32 გამანადგურებელი ან საბადრაგო ხომალდი. გარდა ამისა, ტორპედირებულია 17 სამხედრო და სავაჭრო გემი, რომელთა ნაწილიც, ეჭვგარეშეა, ჩაიძირა.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ გემები ჩაძირულია უმეტეს შემთხვევაში მტრის წყლების სასაზღვრო რაიონებში. ეს წარმატებები მიღწეულია ახალი ტექნიკური გამოგონების, ე. წ. „საჰაერო ანძის" წყალობით. ამ ახალი მოწყობილობის საშუალებით წყალქვეშ მყოფი ნავი განუწყვეტლივ იღებს, სუფთა ჰაერს. ამგვარად წყალქვეშა ნავს აქვს საშუალება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზევით ამოუტივტივებლად იმყოფებოდეს წყალქვეშ.

ამ ახალი მოწყობილობით შეიარაღებული წყალქვეშა ნავები უკანასკნელი $2^1/_2$ თვის განმავლობაში აწარმოებდნენ საომარ ოპერაციებს მოწინააღმდეგის სანაპირო ზოლზე ლამანშის სრუტეში, ირლანდიის ზღვაში, მურმანსკის სანავსადგურო ზონაში, გიბრალტართან და ისლანდიის ნაპირებზე, უმთავრესად ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკთან, ე. ი. ყველგან, სადაც კი მტრის ნაოსნობა გაცხოველებულად სწარმოებს. ამ ადგილებში ყველაზე მეტად შეიძლება ინგლის-ამერიკელთა და საბჭოთა გემების დაზიანება.

თავისთავად გასაგებია, რომ გერმანული წყალქვეშა ნავების ეს ოპერაციები მოითხოვენ მეზღვაურებისაგან განსაკუთრებულ ამტანიანობასა და სიმამაცეს.

## ამერიკამ მიითვისა იტალიის ფლოტი

რომიდან იტყობინებიან, რომ ბონომის მთავრობის სახელმწიფო მდივანი მონტალბანო განცხადებით გამოვიდა იტალიის ნაოსნობის კატასტროფული მდგომარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ იტალიის ყველა სავაჭრო გემი ემსახურება მხოლოდ-დამხოლოდ ინგლის-ამერიკელებს. იტალიელ ხალხს დარჩა რამდენიმე პატარა გემი, რომელთაც არ შეუძლიათ გადასწყვიტონ ტრანსპორტის პრობლემა. მონტალბანომ კატეგორიულად განაცხადა, რომ იმისთვის, რათა გამოსწორდეს ტრანსპორტის საქმე, აუცილებელია არანაკლებ 16 მილიონი ტონა წყალწყვის სავაჭრო ფლოტი.

ამერიკის ხელისუფლებამ უარი განაცხადა ფლოტის გადაცემაზე. გარდა ყველა ამისა, ინგლისში ჯერკიდევ იმყოფება 6.000 იტალიელი მეზღვაური, რომელნიც სამხედრო ტყვეებად ითვლებიან.

# მოკლე ცნობები

[illegible] ამერიკის კონგრესზე გააკეთა ანგარიში იალტაში გამგზავრების შესახებ. მსმენელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმას, რომ იაპონიასთან ომის შესახებ იალტაში ლაპარაკი სულ არ ყოფილა.

✳ **პოლონეთის** ბანკის ოქრო, რომელიც 1939 წელს ვარშავიდან პარიზის გზით დაკარში იქნა გადატანილი, კომუნისტური გაზეთი „დეილი უორკერის" ცნობით, გადაეცა ლუბლინის მთავრობას. პოლონეთის მთავრობა ლონდონში ეხლა სცხოვრობს ინგლისის კრედიტებით და იმით, რასაც ამერიკაში მცხოვრები პოლონელები შეწირულების სახით უგზავნიან.

✳ **ამერიკის** წყალქვეშა ნავებმა შეცდომით ჩასძირეს თავიანთი სამი სავაჭრო გემი.

✳ **გადადგა** საბერძნეთის შინაგან საქმეთა მინისტრი რალისი. მისი მოვალეობის შესრულება აიღო თავისთავზე მინისტრ-პრეზიდენტმა გენერალმა პლასტირასმა. რამდენიმე სხვა მინისტრმა რალისს გამოუცხადა სოლიდარობა.

✳ **ამერიკის** ადმირალმა ლიანდმა კონგრესის სხდომაზე კვლავ ხაზი გაუსვა ამერიკის გეგმებს მსოფლიო ბატონობისათვის. მან სთქვა, რომ ამერიკის ფლოტი ყველაზე ძლიერია მსოფლიოში და ამიტომ ომის შემდეგ ამერიკა უნდა გაბატონდეს მთელ ქვეყანაზეო.

✳ **იაპონიის** ფლოტის დიქტორმა კაპიტანმა მაცუშიმამ განაცხადა, რომ იაპონიის მტკიცე გადაწყვეტილებაა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, დაიცვას შინხარ მტრის თავდასხმებისაგან.

✳ **შვეიცარული** გაზეთი „გაზეტ დე ლოზანი" სწერს: ამერიკა დაეთანხმა საბჭოთა კავშირს ევროპაში თავისი გავლენის გავრცელებაზე. გაზეთის აზრით, ამერიკა მზად არის ფულითაც კი დაეხმაროს ბოლშევიკებს „ევროპის განთავისუფლებისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად".

✳ **ანკარიდან** იუწყებიან, რომ ირანის დასავლეთ ნაწილში, რომელიც საბჭოთა ჯარების მიერ არის დაკავებული, ისევ იფეთქა ქურთების აჯანყებამ. როგორც სჩანს, ირანის მოსახლეობა კვლავ იარაღით ხელში გამოდის ბოლშევიკების წინააღმდეგ.

✳ **ბელგრადიდან** მიღებული ცნობებით გრძელდება სერბი მოსახლეობის ციმბირში გადასახლება. ამასწინათ ბელგრადიდან საბჭოთა კავშირში გაჰგზავნეს სერბი და ხორვატი ბავშვების ახალი ტრანსპორტი.

## მემატიანის ბლოკნოტიდან

### სტალინის ახალი კერპი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „პროლეტარულმა გრაფმა" ალექსეი ტოლსტოიმ ერთი კალმის მოსმით გაავლო ისტორიული პარალელი სტალინსა და პეტრე დიდს შორის. ამით მან, რასაკვირველია, დიდი ღვაწლი დასდო ბოლშევიკებს. ხუმრობა ხომ არ არის, პეტრე დიდის გვერდით აღმოჩნდე! სტალინი თავის დროზე მეტად კმაყოფილი იყო ამ გამორეობით, მაგრამ, როგორც სჩანს, ეხლა ეს საკმარისი აღარ არის. ხელმძღვანელობენ რა მენშევიკ პლეხანოვის დებულებით, რომ „ისტორია სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკა, გადატანილი წარსულში", ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს გამოიყენონ თავისი ინტერესებისათვის მეფე იოანე მრისხანეს პიროვნება. გადაწყდა, უნდა შესრულდეს. და აი, რეჟისორმა ეიზენშტეინმა საკუთარი სცენარის მიხედვით გამოაცხო კინოფილმი „იოანე მრისხანე", რომელშიც, როგორც საბჭოთა კრიტიკა აცხადებს, „ასახულია რუსეთის მეფის დაუნდობელი ბრძოლა ფეოდალი თავადებისა და ბოიარების წინააღმდეგ, ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლიდა რუსეთის სახელმწიფოს ზრდასა და განმტკიცებას".

ეიზენშტეინის ფილმი ამ დღეებში გამოჩნდება საბჭოთა ეკრანზე და მისი შემქმნელების საიდუმლო განზრახვით იგი უნდა გადაიქცეს გავარდნილ მეხად რუმინელებისათვის, ვინაიდან, როგორც ცნობილია, რუმინეთში ჯერკიდევ არსებობენ ბოიარები და დარჩენილია ფეოდალური ურთიერთობის ნაშთებიც. თუმცა უნდა ითქვას, რომ ოპრიჩინის, როგორც დადებითი მოვლენის, ჩვენება ბოლშევიკების აზრით, ცუდი არ იქნება დანარჩენი ევროპელებისათვისაც. სწორეთ ეს სურს სტალინს. ცხადია, ზედმეტი არ იქნება „დააშინო" ევროპის მშვიდობიანი მოსახლეობა, შეიძლება ამან გააადვილოს კონტინენტზე გაბატონების ასე სანუკვარი ოცნების განხორციელება. მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, სტალინს, როგორც სჩანს, არაფერი აქვს საწინააღმდეგო უკვე იოანე მრისხანის გვერდით აღმოჩნდეს. პეტრე დიდის შემდეგ იოანე მრისხანე! დიდი სტალინი, მრისხანე სტალინი! ვნახოთ რა იქნება სტალინის შემდეგი ტიტული!

საწყალი მეფე იოანე მრისხანე, რა უმწეო ბიჭუნად იგრძნობს თავს საფლავში, ყველაფერი ეს რომ გაიგოს!

მოხ. პ. ბ.

# „სამშობლოს მოღალატენი"

○

## ტყვე წითელარმიელთა ნაამბობიდან

○

აღმოსავლეთის ფრონტი...

ღამის სიჩუმეს შორეული საარტილერიო სროლა არღვევს...

ჩვენს სანგარში ქართველი მოხალისეები ფხიზლობენ. მტერი აქტიურობს, მოსალოდნელია მცირე ჯგუფების უეცარი თავდასხმა...

მავთულხლართებთან რაღაცამ გაიფაჩუნა. მებრძოლებმა სუნთქვა შეაგუბეს. ბრძანება: მტერი ახლო მანძილზე იქნას მოშვებული! ერთი წუთით ჩამიჩუმი შეწყდა. თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ნუთუ წყვდიადმა შეგვიყვანა შეცდომაში!..

შორიახლო მსხვილი ყალიბის ყუმბარა გასკდა და გაყინული მიწა ერთ მეტრზე ამოთხარა. ძაბრიდან სუსტი კვამლი ამოვარდა და ღამის სიბნელეს შეერია...

— იყუჩეთ, ბიჭებო, — მიმართა ქართველმა ეფრეიტორმა ამხანაგებს, — ყუმბარის გასკდომამ მავთულხლართები დაგვავიწყებინა. შეხეთ, ჩვენკენ მართლაც ვილაცები მოიწევენ. ჰამტროდ არ უნდა იყვნენ ეს რუსები ჩვენს მიმართ განწყობილი!

სანგრის ახლოს ხიშტის წვერზე წამოცმული თეთრი ცხვირსახოცი აფრიალდა, რასაც რუსულად წარმოთქმული რამდენიმე სიტყვა მოჰყვა. ქართველმა მეგობრებმა დაასკვნეს, რომ ისინი სამოყვროდ იყვნენ მოსულნი და დამიზნებული შაშხანები ძირს დახარეს. ახალმოსულნი სულ ექვსნი იყვნენ, ყველანი რუსები, ხუთი წითელარმიელი და ერთი გვარდიის ლეიტენანტი. ქართველმა მოხალისეებმა ისინი სასწრაფოდ განაიარაღეს და ახლომდებარე ნაწილის შტაბში გაგზავნეს.

✳

გვარდიის ლეიტენანტმა, მრავალ სხვა საინტერესო ცნობასთან ერთად, სიტყვასიტყვით შემდეგი გვიჩვენა:

— გერმანიის ტერიტორიაზე ფეხი რომ შემოვდგით, სარდლობისაგან სპეციალური საიდუმლო ბრძანება მივიღეთ — გაგვენადგურებინა ყველა და ყველაფერი, რაც ჩვენს წინსვლას ხელს შეუშლიდა. გამხეცებული წითელარმიელები ანგრევდნენ, სწვავდნენ და ნაცარტუტად აქცევდნენ საცხოვრებელ სახლებს, იტაცებდნენ ქონებას, აუპატიურებდნენ ქალებს და ხიშტებზე აგებდნენ მცირეწლოვან ბავშვებს... ისინი განსაკუთრებით საშინლად ექცეოდნენ აღმოსავლეთის მოხალისეებს, როდესაც ისინი ხელში უვარდებოდნენ. აღმოსავლეთ პრუსიაში ერთ გერმანულ ნაწილს ალყა შემოვარტყით. ისინი უკანასკნელ ვაზნამდე გვიწევდნენ სასტიკ წინააღმდეგობას, მაგრამ ბოლოს ტყვიაწამლის გამოლევის გამო ველარ განაგრძეს თავდაცვა. ჩვენ ისინი ტყვედ ჩავიგდეთ. გერმანელთა შორის ერთი ქართული ათეულიც აღმოჩნდა. უნდა გენახათ, როგორი მხეცური ჟინით მივარდნენ წითელარმიელები ქართველებს — იქვე, ადგილზე თოფის კონდახებით კბილები ჩაუმტვრიეს, შემდეგ კი ნახევრადმკვდარი ჯარისკაცები მანქანით სადღაც წაიყვანეს.

მეორე დღეს მათი გვამები ბომბის ძაბრში ვიპოვეთ ავტომატის ტყვიებით დაცხრილული. მიწაც კი არავის მიეყარა.

✳

— ამის შესახებ უფრო საინტერესო ამბებს მოგიყვებით, — სთქვა ერთერთმა ტყვე წითელარმიელმა. — მე თვითონ ეროვნებით რუსი ვარ, საქართველოში, ლაგოდეხში, დაბადებული. ჯარშიც დიდიხანი არ არის გამიწვიეს. ორ კვირას ლაგოდეხში დავყავი, სადაც სამხედრო მომზადებას გავდიოდი... ერთ დღეს სოფელში ხმა გავრცელდა — გერმანიიდან „სამშობლოს მოღალატე" ჩამოიყვანესო. მართლაც, ორიოდე დღის შემდეგ მთელი სოფელი გარეთ გამორეკეს. ლაგოდეხის შუაგულში, ერთ ამაღლებულ ადგილას, სახრჩობელა მოეწყოთ. ხალხი აიძულეს მასთან ახლო მისულიყო. „სამშობლოს მოღალატე", შინსახკომელთა მთელი რაზმის თანხლებით, სახრჩობელაზე აიყვანეს. ხალხს გააჟრჟოლა და ოხვრა აღმოხდა. ლიპიანმა ურიამ, რომელსაც შინსახკომის სპეციალური ჯარების მეთაურის ფორმა ეცვა, ორიოდე სიტყვით განუმარტა ხალხს, რომ „სამშობლოს" ამ ფაშისტმა გამყიდველმა „უღალატა" თავის ხალხს, გერმანელების მხარეზე გადავიდა და შემდეგ, როგორც ქართველ მოხალისეთა ნაწილის ოფიცერი, იარაღით ხელში ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებასო. როგორც განსაკუთრებული მძიმე დანაშაულის ჩამდენი, იგი გამოგზავნილ იქნა თავისივე სამშობლო სოფელში, რათა მთელი სოფლის წინაშე ავიდეს სახრჩობელაზეო...

წითელარმიელი შეჩერდა. ეს ამბავი ჩვენთვის აქამდე უცნობი იყო და ამიტომ საკმაო გაოცება გამოიწვია. ჩვენ ვიცოდით, რომ მოხალისეებს ბოლშევიკები ახრჩობენ, მაგრამ სამშობლოში ჩამოხრჩობა კი, როგორც სჩანს, სტალინელების ახალ გამოგონებათა სერიას განეკუთვნება. ტყვე წითელარმიელს კვლავ ვეკითხებით: თუ ხართ მოწმე იმისა, როგორ უსწორდებიან ჩვენს მოხალისეებს თვით გერმანიის ტერიტორიაზე?

— როგორ არა, სილეზიაში ჩემი თვალით ვიხილე შემდეგი სურათი:

შეტევაზე გადმოსასვლელად ვემზადებოდით. გვერდზე, ტყიდან უეცრად სამი გერმანელი ჯარისკაცი გამოძვრა, უიარაღონი იყვნენ, მოგვიახლოვდნენ და ხელები ასწიეს. სამივე ქართველი მოხალისენი გამოდგნენ. მათ განაცხადეს, რომ ჩვენთან უნდოდათ ყოფნა და ამის დასამტკიცებლად დასძინეს, რომ საიდუმლო სამხედრო ცნობების გადაცემა შეეძლოთ. ისინი მაშინვე ათასეულის შტაბში მიიყვანეს. დაკითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთი მათგანი პარტიის რაიკომის ყოფილი მდივანი, ხოლო დანარჩენი ორი — პარტიული მუშაკები ყოფილიყვნენ. მე იმ დღეს ათასეულის შტაბში მარბიელად ვიყავი, ხის ბარაკის მეორე ოთახიდან ყური მივუგდე და დაკითხვის მთელი შინაარსი მშვენივრად გავიგე. ახალმოსულნი უმტკიცებდნენ კომისარს, რომელიც მათ დაკითხვას აწარმოებდა — ჩვენ გერმანელებთან ვიყავით, როგორც თქვენი ხალხი და ხელსაყრელ მომენტს ვუცდიდით, რათა ისევ თქვენთან გადმოვსულიყავითო...

დაკითხვა დასრულდა. ბარაკში ოთხი შეიარაღებული შინსახკომელი შემოვიდა და ქართველები გარეთ გაიყვანა. მთელ კვირას მათ შესახებ არაფერი გამიგია, ალბათ საჯარიმო ათასეულში გაგზავნეს-მეთქი — ვფიქრობდი.

ერთ დღეს ჩემი ამხანაგი, რომელსაც სოფლის საწყობი გაეტეხა და არყით გალეშილიყო, გამომიტყდა, ქართველები გუშინწინ ღამით ხევში დავხვრიტეთ, სპეციალური განყოფილების ბრძანება გვქონდაო, ამასთანავე გაგვაფრთხილეს, ეს ამბავი სასტიკ საიდუმლოებად უნდა შეგვენახაო...

მოღალატე მოხალისეები ჰფიქრობდნენ — ალბათ ორორ კვირას შვებულებასაც კი მოგვცემენო, მაგრამ საშინლად მოტყუვდნენ. თავიანთი ეს ნაბიჯი მათ სიცოცხლის ფასად დაუჯდათ...

მოხ. ვ. ზ.

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი.

# საინტერესო ამბები

## სამაგიერო გადაუხადა

ფრანგი მწერალი ალფონს კარი სცხოვრობდა აგარაკზე ერთი იტალიელი გრაფის მეზობლად, რომელსაც განთქმული ბიბლიოთეკა ჰქონდა. ერთხელ მწერალს რომელიღაც წიგნი დასჭირდა და მეზობელს კაცი გაუგზავნა — მცირე ხნით ეთხოვებინა ეს წიგნი. სასტიკმა ბიბლიოფილმა უპასუხა: ჩემი ბიბლიოთეკიდან ვერცერთი წიგნი გარეთ ვერ გავა, მაგრამ მოსვლა ჩემთან და კითხვა შეიძლება ყოველ დროს და რამდენ ხანსაც გნებავთო. ორიოდე დღის შემდეგ გრაფს სარწყავი დასჭირდა და მის სათხოვნელად მწერალს კაცი გაუგზავნა, რომელმაც იგი ასეთი პასუხით გაისტუმრა: ვერცერთი სარწყავი ვერ გავა ჩემი სახლიდან, მაგრამ თუ გრაფს სურს, შეუძლია ჩემთან მოვიდეს და ყვავილები რწყას ჩემს ბაღში თუნდაც მთელი დღის განმავლობაშიო.

მთავარი რედაქტორი
გრ. ჩადუნელი

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung „Sakarthwelo"
Potsdam, am Minenberg, Baracke 47.

Druck: Prop.-Fremdsprachendruckerei